საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 87 (6464) 18 ივლისი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

პრეფექტურაში

წესრიგი ყველგან საჭიროა

ცაგერის რაიონის პრეფექტურაში გაიმართა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების, ქალაქის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების, სხვა აქტივის თათბირი.

თათბირი გახსნა რაიონის პრეფექტმა **ტარიელ ალავიძემ.**

თათბირზე ინფორმაციებით გამოვიდნენ რაიონის პრეფექტურის შრომისა და სოციალური საკითხების და ეკონომიკის რეგულირებისა და პროგნოზირების განყოფილებათა გამგეები **გულივერ ბრეგვაძე** და **რამაზ კოპალიანი.** კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიონის სახალხო მოსამართლემ **ლ. გურგუჩიანმა,** საკვებდამზადების გაერთიანების უფროსმა **შ. კვირკაშვილმა,** აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსმა **ო. ნემსწვერიძემ** და სხვა.

თათბირზე აღინიშნა, რომ ახლა, როცა დაძაბული სიტუაციაა რესპუბლიკასა და რაიონში სოციალურ-ეკონომიკური თუ კანონიერების დაცვის საქმეში, დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის. რიგ წარმოება - დაწესებულებებში მოშლილია შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, თვით ხელმძღვანელით დაწყებული რიგით მუშაკამდე საათობით ქუჩასა და მოედანზე დგანან და სამუშაო დრო საუბარში გაჰყავთ. ზოგ წარმოება - დაწესებულებათა შენობები, ეზოები მოუწესრიგებელია, სანაგვეებად არის ქცეული. ხელმძღვანელთა ვალია იზრუნონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, რისთვისაც საჭიროა გამოინახოს თანხები, მასალები.

იმი გამო, რომ რაიონის ბიუჯეტში არის 1,4 მილიონი მანეთის დეფიციტი, მდგომარეობა მოითხოვს გადაიხედოს წარმოება - დაწესებულებათა შტატები შემცირების თვალსაზრისით. დღეისათვის რაიონში 150-მდე უმუშევარია. მაშინ, როცა პენსიონერთა მეტ წილს დაკავებული აქვთ სამუშაო ადგილები. ამიტომ საჭიროა პენსიონერმა მოსამსახურეებმა გამოანთავისუფლონ დაკავებული ადგილები, რათა იგი დაკომპლექტდეს ახალგაზრდა კადრებით.

თათბირზე განსაკუთრებით მწვავე კამათი გაიმართა რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე. აღინიშნა, რომ სისტემატურად ხდება ქურდობა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სხვადასხვა ფაქტები, ხოლო რეაგირება შესაბამისი არ არის. რაიონის საზოგადოებრიობა არ უდგას გვერდით ადმინისტრაციულ ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, არადა ეს ყველას ვალია. პრეფექტურის გადაწყვეტილებით შემოღებული იქნა რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თანამშრომელთა მორიგეობა ქალაქში, შედგა გრაფიკი, იგი გაეცნო ყველას, მაგრამ ზოგიერთი ხელმძღვანელის უყურადღებობის შედეგად თანამშრომელთა ერთი ნაწილი არ გამოდის სამორიგეოდ.

თათბირზე ვრცელი საუბარი გაიმართა საკოლმეურნეო ქონების დაცვის, პრივატიზაციის, კომერციული ვაჭრობის განვითარების და სხვა საკითხებზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რაიონის პრეფექტის პირველი მოადგილე **გ. ჯიაძე,** მოადგილე **კ. ფრუიძე.**

მიჯნა — 20

ჩხუტელელ მეაბრეშუმეებს (მეაბრეშუმე აგრონომი ვ. კვირკაშვილი) აბრეშუმის ჭიის „მოვლა-გამოკვების მდიდარი გამოცდილება დაუგროვდათ. თავისუფლების და დამოუკიდებლობის გზაზე მდგარმა ქვეყანამ ახალი საპატიო მიჯნების წინაშე დააყენა ისინი. თუთის ფოთლის ნაკლებობის პირობებში 1990 კილოგრამი აბრეშუმის პარკის დამზადება არც თუ იოლი საქმეა, მაგრამ დღეს ჩვენს ეკონომიკას გამრჯე მარჯვენა სჭირდებაო და ერთსულოვნად დაირაზმენ. 960 გრამი მური გამოკვება 73-მა მეაბრეშუმემ და საქმისადმი სიყვარულმა გამარჯვება მოუტანათ, მათ გადაჭარბებით შეასრულეს აბრეშუმის პარკის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. დამზადებულია 2000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. ამ გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს დოდო, ნორა მეშველიანებმა, ჟენია, ნუნუ, ნანი, ციცო, ბაბუცა, ლუბა,

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓ ᲗᲥᲕᲐ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ

ნარგიზა, რუსიკო მურცხვალაძეებმა, თინა, მერი ასვლედიანებმა, ბადრი, ფოფოლა კვირკაშვილებმა და სხვებმა, რომლებმაც აბრეშუმის პარკის ზეგეგმითი კილოგრამები მიჰყიდეს სამშობლოს.

* * *

გრამი მურიდან პროდუქციის მაქსიმუმის მიღებისათვის გაჩაღებულ ლაშქრობაში აქტიურად ჩაებნენ ლასურიაშელი მეაბრეშუმეები (მეაბრეშუმე აგრონომი ზ. ხეცურიანი). არის შედეგიც — მათ 15 ივლისისათვის უპატაკეს სამშობლოს აბრეშუმის პარკის - მიყიდვის საგეგმო დავალების გადაჭარბებით შესრულება. დამზადებულია 2800 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, როცა დავალება 2650 კილოგრამს ითვალისწინებდა.

მომდინარე წელსაც არ უღალატეს ტრადიციას და გეგმაზე მეტი აბრეშუმის პარკი მიუწონეს ქვეყანას ლოლა, რუსიკო ჭაბუკიანებმა, თინა, ზინა, ნუცა სილაგაძეებმა, ჟუჟუნა, ციალა მუშკუდიანებმა, ამალია მეშველიანმა და სხვებმა.

გილოცავთ გამარჯვებას, ჩვენო სახელოვანო მეაბრეშუმეებო!

საქართველოს რესპუბლიკის ცაგერის რაიონის
პრეფექტის

განკარგულება

გ. ვ. ბრეგვაძის ცაგერის რაიონის პრეფექტად შრომისა და სოციალური საკითხების განყოფილების გამგედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს **გულივერ ვლადიმერის ძე ბრეგვაძე** ცაგერის რაიონის პრეფექტურის შრომისა და სოციალური საკითხების განყოფილების გამგედ.

ცაგერის რაიონის პრეფექტი **ტ. ალავიძე.**

ცაგერი. 1991 წლის 11 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის ცაგერის რაიონის
პრეფექტის

განკარგულება

რ. რ. კოპალიანის ცაგერის რაიონის პრეფექტურის ეკონომიკის რეგულირებისა და პროგნოზირების განყოფილების გამგედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს **რამაზ რაფიელის ძე კოპალიანი** ცაგერის რაიონის პრეფექტურის ეკონომიკის რეგულირებისა და პროგნოზირების განყოფილების გამგედ.

ცაგერის რაიონის პრეფექტი **ტ. ალავიძე.**

ცაგერი. 1991 წლის 11 ივლისი.

ჯართი:

გეგმა და დამზადება

მეორადი ნედლეულის შეგროვების საქმეში უყურადღებობის გამო მეტალურგიული ქარხნები მეორად მასალას მცირე რაოდენობით იღებენ. ცხადია, ეს მნიშვნელოვნად განაპირობებს ლითონის დეფიციტის წარმოქმნას, რამაც სახალხო მეურნეობას დიდი რაოდენობით ტრაქტორი, ავტომანქანა, კომბაინი, გუთანი, კულტივატორი, სათიბელა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღი და

აუცილებლად უნდა შესრულდეს

დანადგარ-მოწყობილობა დაკლო. მათ დასამზადებლად უამრავი ლითონია საჭირო, რომელიც არც თუ ისე იოლი მოსაპოვებელია, ამიტომაც არსებულ რეზერვს გაფრთხილება, მომჭირნეობა, შეგროვება და დანიშნულებისამებრ გამოყენება უნდა.

გაზეთ „ლეჩხუმის“ ფურცლებზე არაერთხელ გვქონდა საუბარი მეორადი ნედლეულის შეგროვება-გამოყენება-სარგებლიანობაზე. ამიტომაც განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევს ის, რომ უკანასკნელ პერიოდში ნაკლები ყურადღება ექცევა რაიონში მეორადი ნედლეულის დამზადების საქმეს. ამას ადასტურებს 12 ივლისის რესპუბლიკურ გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მწვავე სიგნალი, სადაც ნაჩვენებია, რომ ცაგერის რაიონში 12 ივლისისათვის ჩაბარებულია მხოლოდ 3 ტონა ჯართი. 6 თვის გეგმის შესრულებას დააკლდა 34 ტონა.

რაიონის პრეფექტურაში არსებული მეორადი შავი ლითონის 1991 წლის ხუთ თვეში დამზადების შესახებ ცნობით რაიონში უნდა დამზადებულიყო 185 ტონა, ფაქტიურად დამზადდა 137, 5 ტონა შავი ლითონის ჯართი. მიცემული დავალება შესრულებული აქვთ საგზაო სამმართველოს, კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძს, კინოფიკაციას, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს, საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციას, რაიკოოპერატივს, საკვებდამზადებას და სხვას. მაგრამ ეს საქმეს როდი შველის, ამავე ცნობით აგროსამრეწველო გაერთიანებამ 32,1 ტონა ჯართი დააკლო ქვეყანას, № 23 საგზაო სამმართველომ 13 ტონა, ავტოსატრანსპორტო საწარმომ 10,3 ტონა, 91-ე პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებელმა 1,8 ტონა, კომუნალურმა მეურნეობამ 1,4 ტონა, სარემონტო-სამშენებლო უბანმა 1,9 ტონა, აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმომ 4 ტონა, სატყეო მეურნეობამ 2,1 ტონა.

კიდევ ერთხელ შევახსენებთ ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომ საჭიროა ოპერატიული ზომების განხორციელება, რათა მეორადი ნედლეულის დამზადების შიმდინარე წლის სახელმწიფო შეკვეთა უცილობლად შესრულდეს.

ბ. ბაქრაძე.

არის 15 ტონა

აბრეშუმის პარკის ღირებულების გაზრდამ დაინტერესა რაიონის მეაბრეშუმეები. ამასთან კარგად ესმით, რომ ჩვენი რესპუბლიკის დაკნინებულ ეკონომიკას სწორედ აბრეშუმის პარკი მოუტანს სარგებლობას.

ზოგან დაავადებამ, ზოგან კი გულგრილობამ მართლა შეამცირა მოსავალი, ბევრმა მეაბრეშუმემ სანახევროდაც ვერ მოიწია პარკი, მაგრამ დღეისათვის რაიონის მიმღებ პუნქტებში 15 ტონა აბრეშუმის პარკი მაინცაა მიტანილი. გამოიკვეთა მოწინავეები. გეგმა შეასრულეს წიფერჩელმა, ღვირიშელმა, ჩხუტელელმა ლასურიაშელმა მეაბრეშუმეებმა.

აბრეშუმის პარკის დამზადება კვლავ გრძელდება.

იმ ავბედითი წლების ექო

მახსოვს 1937 წლის სტალინური კონსტიტუციის მიღებით გამოწვეული დიდი ზეიმი, სოციალიზმმა ძირითადად გაიმარჯვა, კითხვა ვინ-ვის? სოციალიზმის სასარგებლოდ გადაიჭრაო.

არეულ-დარეულობაც მახსოვს. ხშირად გაიგონებდი, რა კარგი კაცი დაიჭირესო, თუ ღმერთი გწამს ნუ იტყვი, ეს ჩვენი საქმე არ არისო. თუ რამე დაგიწერეს, ციმბირს გაგაცილებენო. არც ის იცოდნენ, თუ რა იყო ეს ციმბირი და საით იყო იგი. არ გეახსოვს, ვინმესთვის დაეწეროთ და იგი გაემართლებინოთ. სხვადასხვა ბრალდებებს უწერდნენ ერთმანეთს, ერთი სხვას უწერდა, მეორე მას უწერდა, ერთი იყო საერთო—ყველა ციმბირის გზით მიდიოდა, მიდიოდა და უკან აღარ ბრუნდებოდა.

უწერდნენ განურჩევლად მეგობრობისა, ამხანაგობისა, კიდევაც მეტი—სისხლით ნათესაობისა, უწერდნენ უწყინრად, ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე, გაცინებული სახით, აუდელვებლად, რაღაც სავალდებულოდ.

ღალატის, უდანაშაულო ადამიანების დაღუპვის, ოჯახის აწიოკების, დაობლებული ბავშვების უკან ხომ ადამიანი იდგა, ისეთივე ოჯახის პატრონი, ადამიანი, რომელმაც სხვის უბედურებაზე ააგო თავისი ბედნიერება. ის ხომ უდანაშაულო ადამიანის მკვლელია. მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო ტრიბუნალმა. არ შეიძლება ასეთ ბარბაროსებს ან მათ ნაშიერთ კეთილი გზა ჰქონდეთ ცხოვრებაში.

ერთ-ერთ ასეთ დაღუპულზე მისდა მოგითხრობთ.

ცრემლნარევი სტრიქონები

„ჩემო გოგუცა, აბა შენ იცი, გამაგრდი, მამაჩემი და დედაჩემი მშრომელები არიან, მაგრამ მოხუცდნენ. შვილებიც ჯერჯერობით ვერ წამოგეშველებიან, შენი იმედი მაქვს, ქალობაც უნდა გასწიო და კაცობაც, მიღალატეს გოგუცა, მიღალატეს, ვინც ჩემად. მეგობრად მიმაჩნდა, ვისაც ლუკმას ვუყოფდი, ვინც მეფიცებოდა ამხანაგობას, შენნაირი ალალი კაცი არ შეგვხვედრიაო, და ეს ღალატი, ჩემო გოგუცა, იქნებ საბედისწეროცაა, დავბრუნდები კი აქედან?

„მაგადანი, 18 ნოემბერი, 1937 წ“.

ვალერიან (ვალიკო) ანტონის ძე ხვიცურიანი სოფელ ლარჩვალში დაიბადა და აღიზარდა. ანტონი განამწარები კაცი იყო, პირველი მეუღლიდან არავინ დარჩა—არც მეუღლე და არც შვილები. მეორედ დაქორწინდა და მთელ იმედს ერთადეთ ვაჟიშვილზე—ვალიკოზე ამყარებდა. ანტონი გონიერი, შეძლებული გახლდათ და სახლიც კარგი აიშენა. მის ბეღელ-მარანში, ნალიაზე ულევად იყო ოფლით მოწეული პროდუქტები. მტერსა თუ მოყვარეს კაცურად ხვდებოდა. სოფელში რჩევასაც ბევრჯერ კითხავდნენ. წელგაუმართავი მეზობლებისათვის მიშველებაც იცოდა—სიმინდით, ღვინით, პურით, ფულით. ვალიკომ იმ დროს შესაძლებლობის მიხედვით ჩინებული განათლება მიიღო და ბარდნალის სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა, დაცოლშვილდა. ანტონი წელში გაიმართა, ძველი ნაიარები კაცი სიხარულით ცას სწვდებოდა, ღღე და ღამ გაერთიანებული ჰქონდა და დოვლათს არ აკლებდა ოჯახს.

მაგრამ...:

ვალიკო შინსახკომში დაიბარეს, უთხრეს, გიჩივიან, ხალხის მტერი ყოფილხარო!

ღმერთი, რჯული...

ღმერთი, რჯული შენთვის შეინახე, რაიონს გარეთ არ გახვიდეო და გაუშვეს.

აფორიაქდა ოჯახი, ჩამოწვა შავი ღრუბელი.

არავითარი ბრალი არ მიმიძღვის მამაჩემო. ნუ გეშინიათ, რაღაც გაუგებრობაა და გასწორდებაო—უმტკიცებდა მშობლებს ვალიკო.

შეტყობინება რომ მიიღო, ქ. ქუთაისში სასამართლოზე გამოცხადდიო, სახლშიდაც არ გაუმხელია, ისე წავიდა—ბრალი არ მიმიძღვის, გაირკვევა და ამოვალო.

სასამართლოზე გვარიანი მოდიდო საჩივარი წაუკითხეს ვალიკოს, რომელშიც ეწერა. რომ თითქოს ხალხში ავრცელებდა ჭორს: „გერმანიაში უფრო კარგად ცხოვრობენ, ვიდრე სსრ კავშირშიო“, „ფეხებზე კომუნისტების ტყავი მაცვიაო“, „კოლექტივში შესვლას ამოუნელებელ თორნენი რომ ჩავარდე, ის გერჩიოსო“ და ა. შ. საჩივარს ხელს აწერდა ოთხი მოქალაქე. სამი მათგანი ვალიკოსთან სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა, მეოთხე სოფლის ავყია კომკავშირელი გახლდათ.

ბრალმდებლებმა წარბშეუხრელად მოახსენეს სასამართლოს ხალხის მტერიაო, ნამდვილი ტროცკისტიო.

ვალიკოს 6 წელიწადი აჰკიდეს და ნაცვლად ლარჩვალისა ციმბირის გზას გაუყენეს 1937 წლის 17 სექტემბერს.

მიდიოდა ვალიკო ბურანში გახვეული და ფიქრობდა, ეს რა მომხვიდა, ძმობას მეფიცებოდნენ, ჩემი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ, მამაჩემს ეფიცებოდნენ შენი შვილის ძმები ვართო. ეღმერთონი ყოფილან, რომ ილხენდნენ, „თხამ შეკაბა ვენახიო“, „ბულბულს სტვენა, ვარდს სინაზეო“ რომ მღეროდნენ, მაშინ აწყობდნენ ჩემი დაღუპვის გეგმებს, თქვე უსინდისოებო ჩაიდგით ჩემს ცოდვაში ფეხი, მიდით ახლა მამაჩემთან, თქვე მოღალატეებო, უთხარით შენი ერთადერთი შვილი ციმბირს გავგზავნეთო, იპურმარილეთ. გარეწრებო, ღმერთი დიდია, წაგამწარებთ, წაგამწარებთ.

თავზარდამცემი ამბავი მოვიდა ანტონის ოჯახში. ტიროდა დიდი და პატარა, შეიყარა მთელი სოფელი, ყველანი წავალთ, ვუშველითო, მაგრამ ამაოდ. ვალიკო ციმბირის გზას მიუყვებოდა.

„გოგუცა, ქონი უფრო მეტი ჩადევი პასილკაში. მატერიას ნუ ახვევ, იგი სახლში მოიხმარეთ, ვიჩინას უფრო ვინახავ. რა ვქნა, მიჭირს რომ გწერ, მაგრამ მიჭირს და იგი მაწერინებს“.

„უსწავლელი არ დამიტოვო შვილები, ბაბაივ კიდევ უფრო გაკაქებულა. დედაჩემის ტირილი აქანე მესმის, მძიმე სამუშაოზე გავყავართ“...

მიდიოდა ოჯახიდან ამანათები ციმბირისაკენ, მაგრამ ღებულობდა ყველას? არა. ისიც მისი წერილიდან ჩანს.. „გოგუცა პასილკას დააგვიანდაო“... „ნამუტანი კარგი იყო ჩაი და მაზორკაო“, „რამ მოგაგონათ ინდაურის გახმობა, მე რომ მიყვარდა იმიტომ. ეჰ, ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა ჩემო გოგუცა“... „მაგადანი“

დაიწყო დიდი სამამულო ომი, გაგზავნილი ორი ამანათი უკან დაბრუნდა. გოგუცამ განცხადება აფრინა მოსკოვში უკვე 1942 წელს, განცხადების პასუხიც მოვიდა. იგი ჩემს ხელში მოხვდა და დარჩა სიდუმლოდ დღემდე.

ანტონი შვილის სადღეგრძელოს ყოველდღე სადილ-ვახშამზე ამბობდა—ღმერთო, ჩემი ვალიკო მომიყვანე, მისი მოღალატეები დალახვრეო. არ აუსრულდა ოჯახის ფუძეს ნატვრის პირველი ნაწილი—წაუყვათ ვალიკოს ნატვრა ანტონსაც, მინასაც და გოგუცასაც.

იმრავლა, გაიხარა ანტონის ფუძემ, ვალიკოს შვილები უსწავლელი არ დარჩენილან. დაოჯახდნენ, ნაშიერმა იმატა, ანტონის მეოთხე თაობის პატარები კისკისებენ მის კარმიდამოში. ცხოვრება წინ მიდის, არავის არ მტრობენ, პირიქით, მეზობლებში, მეგობრებში, ამხანაგებში, შინ და გარეთ კარგი, ადამიანური რეპუტაციით სარგებლობენ. ღმერთი დიდიო,—თქვა ვალიკომ იმ მწუხარე ჟამს. ღმერთმა მოუმართოს ხელი ანტონის ნაშიერთ, კიდევ ამრავლოს და აბედნიეროს.

ამინ!

რ. ბაძრაძე.

1937. ვინ, ვის?

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

კითხვა: რა სიახლეა საცალო ფასების მომატებასთან დაკავშირებით განათლების მუშაკთა—შვებულების პერიოდში კომპენსაციის წესის ანაზღაურებაში?

პასუხი: სსრკ შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის 1991 წლის 28 მაისის საინსტრუქციო წერილის თანახმად, თუ შვებულების წინა 12 თვიან პერიოდში კომპენსაციები წარმოებებში (ორგანიზაციებში) გაიცემოდა მხოლოდ ხელფასზე დანამატის სახით ცალკე უწყისით მაშინ მუშაკის შვებულების ანაზღაურების განსაზღვრისათვის არსებული წესით გამოთვლილი საშუალო თვიური ხელფასი (კომპენსაციის გაუთვალისწინებლად) დიდდება 60 მანეთით.

ხოლო თუ შვებულების წინა პერიოდში საწარმოში (ორგანიზაციაში) ზოგ თვეებში კომპენსაციას უხდიდენ მომუშავეებს ხელფასის დანამატის სახით, ხოლო შემდეგ ისინი (კომპენსაციები) შევიდნენ მომუშავეების სატარიფო განაკვეთსა და ხელფასში, ამ შემთხვევაში შვებულებაში მყოფი მუშაკის საშუალო ანაზღაურების გამოთვლა ხდება შემდეგნაირად:

ჯერ არსებული წესით გამოიანგარიშება მომუშავის შვებულების წინა 12 თვის მუშაობის საშუალო თვიური ხელფასი (იმისდა მიუხედავად ამ პერიოდში კომპენსაციები შეტანილი იყო თუ არა სატარიფო განაკვეთსა და ხელფასებში). შემდეგ 60 მანეთის ერთი მეთორმეტედი მრავლდება შვებულების წინა ყველა იმ თვეების რიცხვზე, რომლებშიც კომპესაცია არ შედიოდა მომუშავის სატარიფო განაკვეთსა და ხელფასში, მიღებული თანხა ემატება საშუალო თვიურ ხელფასს.

მომუშავის შვებულების ხელფასი შემდგომში გამოიანგარიშება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თუ საწარმოს (ორგანიზაციას) ან რესპუბლიკის მიერ დადგენილია ფასების ზრდის გამო კომპენსაციის გაზრდილი ოდენობა (ე. ი. სამოც მანეთზე მეტი თვეში), მაშინ შვებულების ხელფასის ოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება ცალკე უწყისით გადახდილი თვიური კომპენსაციის გაზრდილი ოდენობა.

საჭიროა აღნიშნული წესის შესაბამისად გადაანგარიშდეს მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა საშვებულებო ხელფასები და შვებულების პერიოდში აუთვნილი ხელფასის სხვაობა (კომპესაცია) გაიცეს დასახელებულ საინსტრუქციო წერილის დაცვით.

გედნიერი გავშვოგა ვაჩუძოთ გიორგის

გულიდელ ნაზიკო და გურჯან ქურასბედიანების სახლის ჭერი განსაკუთრებული ბედნიერებით აივსო, როდესაც ოჯახში ერპად ქცეული უფროსი ვაჟის ხვიჩას შვილი—გიორგი დაიბადა. ოჯახის ზღვა სიხარული მალე დიდი დარდით შეიცვალა, რადგან პატარა გიორგი ხშირ-ხშირად ავადმყოფობდა, ექიმიდან ექიმის ხელში გადადიოდა.

რესპუბლიკაში რომელი გამოცდილი ექიმის ყურადღების ქვეშ არ მოქცეულა გიორგი. რამდენიმე ხანი მოსკოვში ჰყავდათ გამოჩენილ მედიკოსებთან. პატარა ავადმყოფის თითქოს გაუმჯობესებული მდგომარეობა ძვლავ უარესდებოდა და ასე გრძელდება მთელი ექვსი წელი.

დიახ, ექვსი წლისაა გიორგი (გია) ქურასბედიანი და ჯერ ბავშვობის ბედნიერი, ლაღი დღეები არ უნახავს. ერთი პატარა ზედმეტი მოძრაობა და ბავშვი ცუდად ხდება. თავის ასაკთან შედარებით ყოველმხრივ განვითარებულ ბავშვს ჯერ არ აქვს გაცნობიერებული მის ორგანიზმში დაბუდებული მძიმე სენის შესახებ. ახლობლების შეშფოთებული სახეებისა კი უკვირს და სულის შემძვრელი შეკითხვებით ავსებს მათ.

მშობლებს, ახლობლებს დღემდე ჰქონდათ იმედი ხსნისა, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში, თუნდაც კავშირის მასშტაბით ბავშვის განკურნება შეუძლებელია.

საბოლოო ხსნა გიორგის სამკურნალოდ საზღვარგარეთ (ინგლისში ან ამერიკაში) წაყვანაშია მხოლოდ.

ბუნებრივია, ამისათვის დიდი ოდენობის თანხაა საჭირო. ერთი ოჯახისა და მისი ახლობელი წრისათვის რაგინდ შეძლებულად არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, შეუძლებელია ამ თანხის მოგროვება.

ძვირფასო თანამემამულეებო! გამოვიჩინოთ გულისხმიერება, ერთიერთთანადგომა, ერთიერთპატივისცემა, თითოეულმა ჩვენ თავგანმა შესაძლებლობის ფარგლებში შევიტანოთ ფულადი შენატანები პატარა გიორგის სახელზე. ამისათვის კი ამ დღეებში ლენტეხის შემნახველ ბანკში გახსნილია ანგარიში, რომლის ნომერია 16401, ქურასბედიანი გიორგი ხვიჩას ძე. წიგნი №24250.

დავეხმაროთ სიცოცხლის წყურვილით გულანთებულ პატარა გიორგის და მის ახლობლებს, მერედა ბავშვის ზურგს უკან მდგომი რამდენი ახლობელი ადამიანის პირადი ბედნიერებაა დამოკიდებული მის სიცოცხლეზე.

ჩვენ-ჩვენი ადამიანური გული მოვიხადოთ გიორგის, საკუთარი თავისა და ღმერთის წინაშე.

მე პირადად, მარტო მოწოდება რომ არ გამომივიდეს, ჩემი პირადი დანაზოგიდან გიორგი ქურასბედიანის ანგარიშზე შემაქვს 100 მანეთი. იმედია, რაიონში ბევრი მიმდევარი გამოიჩნდება.

ნათელა ქურასბედიანი,
ლენტეხის რაიონული გაზეთი „სვანეთი“.

ძვირფასო მკითხველო! გვაპატიეთ, რომ ერთხელ კიდევ გატკინეთ გული ერთი მომავალი ქართველის სერიოზული ავადმყოფობით. რას ვიზამთ, შევეჩვიეთ სამწუხაროდ დარდსა და ვარამს.

მაგრამ ახლა მთავარია არა ემოცია, თანადგომა და თანაგრძნობა სიტყვით, არამედ რეალური დახმარება პატარა გიორგისათვის, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს გვემუდარება: გადამარჩინეთო ადამიანებო, თუ კი ეს შეგიძლიათ.

იქნებ ჩვენს შორისაც გამოჩნდეს მადლიანი, დაეხმაროს გიორგის, სიცოცხლეს მოწყურებულ პაწია ქართველს, ჩვენს მეზობელს, სისხლსა და ხორცს ჩვენსას, რამდენადაც ეს შეუძლია.

ლიტონი სიტყვები რომ არ გამოგვივიდეს გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციის კოლექტივმა 100 მანეთი ჩარიცხა პატარა გიორგის დასახმარებლად.

ეს ჩვენი ისტორიაა

ქვითხუროობა ლეჩხუმში

ქვითხუროობა ხელოსნობის განვითარებული დარგი ყოფილა ლეჩხუმში. ბატონიშვილი ვახუშტი ლეჩხუმის შესახებ აღნიშნავს: „რამე თუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოკი ქვიტკირისა და შენობანი ყოველივე ქვიტკირისანი“.

ლეჩხუმური ქვითხუროობის პროდუქტში ნათლად ჩანს ტრადიციულობა და ემპირული ცოდნა-გამოცდილება, რომელსაც ხელოსანთა თაობები გადასცემდნენ ერთმანეთს.

ლეჩხუმში ქვის მოტეხვის ორი წესი დასტურდება: რკინისა და ხის სოლებით და აფეთქებით. პირველი ხასიათდება და პარალელებს პოულობს მსოფლიო შესაბამის წესთან, ხოლო მეორის შემუშავება უკავშირდება ასაფეთქებელი ნივთიერების, თოფის წამლის მოსახლეობაში დამკვიდრებას.

ქვის მომპოვებლები ხშირად აღმოაჩენდნენ ხოლმე საბადოებს, ოღონდ კი მრავლად არის ლეჩხუმის ტერიტორიაზე. ჭალა, (ღვარდიის ხიდთან), ტევრი (ზოგიში), მოხვეული, რაჩხა, მინა წყარო, ქვაწითელი, კლდეშუა, ნადუხელი, ლერიძის ღელე და სხვა.

ქვის ნაკეთობაზე დიდი მოთბოვნილება განაპირობებდა ხელოსნების სიმრავლეს ყველა გვარში. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ყურაშვილები, ალავიძეები, ბუშკუდიანები, გიორგელიძეები, კაბოსნიძეები, თვარაძეები, დავითულიანები, გოლეთიანები, მეშველიანები. ამასთან ზოგიერთი რომელიმე ნივთის კეთებას იყო განსაკუთრებულად დაუფლებული ზოგი კი თანაბრად ფლობდა ხელობის ყველა მიმართულებას.

ლეჩხუმში ქვითხუროობის რამდენიმე გამორჩეული დარგი იყო, რომელთაგან ამ წერილში მხოლოდ ორს შევეხებით:

ბუხრების მშენებლობა;

საფლავის ლოდები:

ბუხრის მშენებლობა და გაწყობა ძალზე ფეხმოკიდებული ყოფილა ლეჩხუმში, იგი წარმოადგენდა სახლის გათბობის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას.

ბუხრის მშენებლობას საგანგებო წესები გააჩნია, რაც გამოიხატება როგორც მშენებლობის თავისებურებებში, ასევე საბუხრე ქვის, ანუ მასალის სწორად შერჩევაში, ერთხელ ნაცად და ხმარებაში გამომდგარ ქვის საბადოებს მებუხრეები ადრიდანვე, მამა-პაპათაგანვე იცნობდნენ.

სახელი „ბაღდადი“ მთელ ლეჩხუმში საუკეთესო ქვის სინონიმია. მას ძირითადად მოიპოვებდნენ სოფელ საირმის აღმოსავლეთით მდებარე კლდეებში და მას საირმის ქვასაც ეძახიან. წილამაზის გარდა ბაღდადის ქვა მოსაჩუქურთმებლადაც კარგია, რაც განაპირობებს მის ესოდენ პოპულარობას, რადგან ბუხარი ჩუქურთმების გარეშე ვერ ჩაითვლება კარგ ნამუშევრად. ესეც არ იყოს ბუხარი ლეჩხუმელი კაცისათვის კერის პირმშოა და რადგან კერა ოდითგანვე ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო და მარადიული სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენდა, „ამიტომ მას ამკობს პოთოროპიული დანიშნულების ორნამენტებით, ღვთაებების გამოსახულებებითა და სიმბოლური ნიშნებით“.

ძველებური ტიპის საცხოვრებლის მოშლამ გამოიწვია სახლის ახალი ტიპის წარმოქმნა. რის ნიადაგზედაც მოხდა კერის ცენტრიდან გადანაცვლება კედელში და მოგვევლინა ბუხრის სოა სოფელ ცხუკუშერში შეკვლეული ლერპიონ ირემაძის ბუხარი. რომელიც 1937 წელსაა აგებული. ბუხრის კიდეებზე ფოთლოვანი ორნამენტის ქვეშ ამოქანდაკებულია ლომის ფიგურა და ცოცხალი გამომეტყველებით ადგარი არჩვები, ხოლო ცენტრში გამოკვეთილია სიცოცხლის ხე, რომლის ძირში აქეთ-იქიდან ოდნავ მუხლჩახრილი ირმები დგანან. მათი პოზა აშკარად შეიცავს თაყვანისცემის ელემენტს. როგორც ცნობილია სიცოცხლის ხის დამცავად სხვადასხვა ცხოველები გვევლინებიან, ქართველების აზრით ასეთი ლომი ყოფილა „ჩვენი წინაპრების რწმენით დაწარმოდგენით შექმნილი სიცოცხლის ხის სიმბოლოს დარაჯი. ასეთივე დარაჯებად აქა-იქ ირემი და ჯიხვებიც გამოდიოდნენ. ირემაძის ბუხარზე წარმოდგენილი ცხოველთა გამოსახულების ფაქტიც ამ ნიშნის მიხედვით უნდა აიხსნას.

ამ ბოლო დროს კი, სამწუხაროდ, ბუხარს მოსახლეობისათვის უფრო მოსახერხებელი რკინის ღუმელი გამოუჩნდა კონკურენტად. რომელმაც მთლიანად შეცვალა იგი, დასანანია, რომ საცხოვრებელში ბუხრის ფუნქცია დაიკარგა.

ხალხური ქვითხუროობის შესწავლის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საფლავის ქვებს.

ლეჩხუმში გავრცელებული საფლავის ქვები განსაკუთრებულ მსგავსებას იჩენს იმერულთან და მისი გავლენის ნიშანს ატარებს, რაც გამოწვეულია ამ ორი კუთხის ურთიერთსიახლოვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში არ შეინიშნება საფლავის ძეგლების ისეთი სახე, როგორიც გავრცელებული იყო ზემო და ქვემო ქართლში.

საფლავის ლოდები:—მხოლოდ ლეჩხუმისათვის დამახასიათებელი სწორზედაპირიანი კუბოქვა. საფლავის ლოდები ორნამენტირების საუკეთესო საშუალებას იძლევა, ამიტომ მასზე გამოსახული სახეები მრავალფეროვანია. როგორც წესი მასზე აუცილებლად წარმოდგენილია სიცოცხლის ხის მოტივი.

ორნამენტების მეორე სახეობიდან აღსანიშნავია ვაზის გამოსახულება, რომლის მტევანი განსაკუთრებული მსხვილი პლანითაა წარმოდგენილი, როგორც ცნობილია, „ვაზის რტო ქართული და აგრეთვე სომხური უძველესი ორნამეტის საგანძურს ეწოდებინა..., ვაზი და მტევანი აგრეთვე ძველი ქრისტიანული სიმბოლოებია: პირველი ითვლება თვით ქრისტეს და ეკლესიის, ხოლო მეორე ქრისტესი და მარტვილთა სისხლის სიმბოლოდ.“

საფლავის ლოდებზე მრავლადაა წარმოდგენილი ე. წ. „უსასრულო სახეების“ კატეგორია, ანუ ისეთი ორნამენტები, რომლებიც თავისებურ სამშვენისებს წარმოადგენენ, ისინი „ბოლოგაბმული არიან სიმეტრიულად და განლაგების სიზუსტეში—გარკვეული წესრიგი შეიმჩნევა.

საფლავის ქვების განსხვავებულ ტიპს განეკუთნება ობელისკები, ანუ შვეულად დაყენებული მატურები, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია მთელს ლეჩხუმში. ასეთი სახის ქვის დამუშავება საკმაოდ ძნელი იყო.

როგორც ცნობილია, საფლავის ძეგლებზე ხშირ შემთხვევაში გამოსახულია იმ ხელობის აღმნიშვნელი ნივთები, რომელსაც გარდაცვლილი ფლობდა სიცოცხლეში. ეს წესი მიღებული იყო, როგორც საბერძნეთსა და რომში, ასევე აზიის ხალხებში. გაფორმების ასეთი წესი საკმაოდ ტრადიციული ყოფილა ჩვენშიც.

გავრცელებული იყო აგრეთვე ქანდაკებების ტიპი, რომლებიც გარდაცვლილს ანსახიერებს. მართალია, ისინი საკმაოდ პრიმიტიულად გამოიყურებიან, მაგრამ საინტერესოა იმ მხრივ, რომ ქვითხუროობის ეს დარგი საქართველოში აღორძინდა მეხუთე საუკუნეში და განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია მეთერთმეტე საუკუნეში.

ცალკე გამოიყოფა ქვის ჯვარის ტიპის საფლავის ლოდები, რომელსაც ორი დანიშნულება აქვს, პირველი რელიგიური ატრიბუტია და საკურთხის დასადებადაც გამოიყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვითხუროობა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისაგან ცალკე მოწყვეტილი პროფესია არ იყო, მართალია, ხელოსნის მთავარ საქმიანობას ქვითხუროობა შეადგენდა, მაგრამ ეს დარგი შეთანაწყობილი იყო მეურნეობის ძირითად დარგებთან.

ქვითხუროობა ლეჩხუმში

სპორტსმენის ბლოკნოტიდან

დაავადება ასკოფეროზი

დაავადება ასკოსფეროზმა მეფუტკრეობის პრობლემათა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიჭირა. იგი თავისი კლინიკური ნიშნებიდან გამომდინარე, დიდ ხანია ჩაკირული ბარტყის სახელითაა ცნობილი, რომლის გამომწვევია ჩანთოსანი სოკო—ასკოსფერა აპის.

ეს დაავადება გავრცელებულია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე იმ ქვეყნებში, რომლებიც მაღალი ტენიანობით ხასიათდებიან. საქართველოში წლეულს მან გავრცელების ფართე ხასიათი მიიღო. საჭიროდ და აუცილებლად ვთვლით მეფუტკრეებს მივაწოდოთ ამ დაავადების ირგვლივ საჭირო, აუცილებელი ინფორმაცია და ბრძოლის ღონისძიებები, ვინაიდან ამ დაავადების მკურნალობის არასაკმარისი პრაქტიკული გამოცდილება გაგვაჩნია.

ასკოსფეროზით ავადდება ყველა ასაკის ბარტყი. განსაკუთრებით აღმძვრელი პათოგენურია 3—4 დღის ბარტყის მიმართ. ორგანიზმში სოკოს სპორები ხვდება, როგორც კუტიკულიდან, ისე ძიძა ფუტკრების საშუალებით საკვებთან ერთად. მისი გადამტანები არიან აგრეთვე სხვადასხვა მავნებლები, პარაზიტები და თვით მეფუტკრეც, რომელიც არ იცავს საფუტკრეში სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს. სოკოს სპორები მრავალი ათეული წლების განმავლობაში ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას, ისინი 40 გრადუს ყინვასაც უძლებენ. თავისი განვითარების ხელსაყრელ პირობებს სოკოს სპორები ნახულობენ ბარტყის ორგანიზმში, რომელიც მდიდარია ამინომჟავებით, ცილებით და ცხიმებით.

დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს ფარული და მწვავე ფორმით. ფარული ფორმით მიმდინარეობის დროს შესამჩნევი რაოდენობით ბარტყის სიკვდილიანობას ადგილი არ აქვს, მწვავედ მიმდინარეობის დროს კი დაავადებისაგან იღუპება სამუშე ბარტყი 60—70 პროცენტი, სამამლე ბარტყი კი მთლიანად ნადგურდება. ხშირად ასკოფეროზი გვხვდება როგორც მეორადი ინფექცია ევროპული სიდამპლის, პარკუჭა ბარტყის ან გაციებული ბარტყის დროს.

დაავადებას ვხვდებით გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში, როცა ოჯახში ბარტყია, მის განვითარებას ხელს უწყობს მაღალი სინესტე, პაერის ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა და სხვა. უკრედები კარგავენ სწორ ფორმას. მათი ზომა 2—3 ჯერ იზრდება, ნაპირები შემოჭმულია, 50—60 პროცენტი გადაბეჭდილი ბარტყი ჭუპრის სტადიაში რჩება და იღუპება. დაავადებისას ფიჭები შავდება, დაავადება გაივლის რა თავისი განვითარების სხვადასხვა სტადიას, დაავადებული ბარტყი ჩაკირვის შედეგად მოგვაგონებს ცარცის ნატეხს, მუნიფიცირებული ჭუპრები იძენენ მუქ ნაცრის ან შავ ფერს და ვნახულობთ მათ სკის ძირზე ან გადმოყრილს საფრენის წინა მოედანზე.

დიაგნოზი ისმება კლინიკური ნიშნებით და ლაბორატორიული გამოკვლევებით. საანალიზოდ ლაბორატორიაში იგზავნება დაზიანებულ ბარტყიანი ფიჭის ნიმუში—ზომით 10 X 15 სმ და გადმოყრილი მკვდარი ბარტყი.

ასკოსფეროზზე არაკეთილსიმედო საფუტკრიდან შეგროვილი მტვერის გაყიდვა უნდა აიკრძალოს და სასწრაფოდ გატარდეს დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

დაავადებული ოჯახები გადავხათ სუფთა დეზინფიცირებულ სკებში ხელოვნურ ფიჭიან და ისეთ ბარტყიან ჩარჩოებზე, რომლებზედაც არ შეინიშნება დაავადების კლინიკური ნიშნები. ძლიერ დაზიანებული ბარტყიანი ფიჭები უნდა გადავადნოთ ცვილად. ასეთ ჩარჩოებზე მსხდომი ფუტკარი უნდა დავფერთხოთ სკის წინ გაფენილ ქაღალდზე, ფუტკარი შევდენოთ ბოლის საშუალებით და სკის წინ გადმოყრილი მკვდარი ბარტყი და ქაღალდი დავწვათ.

დღეისათვის ასკოსფეროზთან ბრძოლის რადიკალური საშუალება არ არსებობს, მაგრამ ბრძოლის ეფექტურ სამკურნალო პრეპარატად ითვლება ნისტატინი, ნიტროფუნგინი და სხვა.

ნისტატინს ფხვნილისებურ მდგომარეობაში გამოიყენებენ წინ გაგზხნით ანადუღარ ნელთბილ წყალში და შევურევთ შაქრის სიროფს, კანდს ან თაფლს. ადრე გაზაფხულზე ოჯახებს ვაძლევთ სამკურნალოდ ერთ ოჯახზე 1:1-ზე მოზადებულ ნახევარ ლიტრ შაქრის სიროფს ან თითო ჩარჩო ფუტკარზე 50 გ კანდს და მასში შევურევთ იმდენ 100000 ს-ე ნისტატინს, რამდენი ჩარჩო ფუტკარიც არის სკაში. ვთქვათ არის 5 ჩარჩო ფუტკარი, ე. ი. ნახევარ ლიტრში ან 250 გ კანდში შევურევთ 500000 ს-ე ნისტატინს, საკვებთან ერთად მკურნალობა ტარდება ერთჯერადად.

ზაფხულის პერიოდში ნისტატინს ვიყენებთ 1 წილ შაქრის და 5 წილ წყალზე მომზადებულ შაქრის სიროფთან ერთად ფუტკარზე დასხურებით, თითო ჩარჩო ფუტკარზე 10 მლ რაოდენობით. ამ შემთხვევაშიც 1 ჩარჩო ფუტკარზე უნდა მოდიოდეს 100000 ს ე პრეპარატი. ვთქვათ ბუდეში არის 10 ჩარჩო ფუტკარი, ე. ი. ავიღებთ 100 მლ ანუ ნახევარ ჩაის ჭიქა შემტკბარ წყალხსნარს და შეურევთ 1 მილიონ ერთეულ ნისტატინს. ნისტატინს ვიყენებთ შეფრქვევითაც. 10 ჩარჩო სიძლიერის ოჯახზე ავიღებთ 100 გ შაქრის პუდრას და ამ შემთხვევაშიც შევურევთ 1 მილიონ ერთეულ ნისტატინს და ჩავაფრქვევთ ფიჭის ორივე მხარეზე. დასხურებას და ჩაფრქვევას ვაწარმოებთ სამჯერადად 3-5 დღის ინტერვალით.

ნიტროფუნგინი ყვითელი ფერის სითხეა. მას იყენებენ არაკეთილსაიმედო და ასკოსფეროზზე საშიშ საფუტკრეებში შაქრის სეროფთან ერთად ფიჭებზე დასხურებით. სამკურნალო მიზნით მზადდება გამოყენების წინ 8-10 კონცენტრაციის პრეპარატიანი ხსნარი თბილ და თხელ (1:5) შაქრის სეროფთან ერთად. ე. ი. 1 ლ სეროფს შეერევა 80-100 მლ ნიტროფუნგინი და დაესხურება 1 ჩარჩო ფუტკარზე 10-15 მლ რაოდენობით. მკურნალობა ტარდება 4 ჯერადად 4-5 დღის ინტერვალით.

რეციდივის შემთხვევაში მკურნალობას იმეორებენ. როგორც ნიტროფუნგინს, ასევე ნისტატინს პროფილაქტიკის მიზნით იყენებენ ორჯერადად 4-5 დღის შუალედით.

თაფლის გამოწურვას ახდენენ პრეპარატების გამოყენებიდან არა ნაკლებ 10-12 დღის შემდეგ.

სამკურნალო ღონისძიებებთან ერთად ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ სწორი და დროული გატარებით ასკოსფეროზის გავრცელებას და მოსალოდნელ ეკონომიურ ზარალსაც თავიდან ავიცილებთ.

ქუთაისის მსუბუქი მრეწველობის სასწავლებელი

(ქუთაისის ყოფილი № 42 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 წლისათვის

სასწავლებელში შეისწავლება ქალისა და ბავშვის მსუბუქი ტანსაცმელის კერვა. მიიღებიან გოგონები 9 კლასის განათლების ბაზაზე.

9 კლასის განათლების ბაზაზე მიღებული მოსწავლეებისათვის ნაცვლად ადრე არსებული 3 წლისა, სწავლების დრო აწის 2 წელი. ისინი პროფესიასთან ერთად მიიღებენ ზოგადსაგანმანათლებო საშუალო სკოლის ატესტატს. კურსის პროფესიის შესწავლასთან ერთად სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია ქარგვისა და ქსოვის შესწავლა.

კვება და ტანსაცმელი უფასოა, სერვილის შემთხვევაში ნაცვლად უფასო კვებისა შეუძლიათ მიიღონ სტიპენდია 40 მანეთის ოდენობით.

სრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სწავლების ვადა 10 თვეა. მათთვის სტიპენდია 110 მანეთია.

ორივე კატეგორიის კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ სწავლა გააგრძელონ უმაღლეს სასწავლებელში როგორც დღის, ისე საღამოს და დაუსწრებელ სასწავლებლის ფაკულტეტზე სასწავლებლის დამთავრებისთანავე.

სწავლების ყველა ფორმაზე სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ საწარმოო სტაჟად.

სწავლება მიმდინარეობს 5 დღიანი კვირეული დატვირთვით.

კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან პროფესიის შესაბამისი სამუშაოთი ქალაქისა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში და კოოპერატივებში.

მეცადინეობა დაიწყება ზოგადსაგანმანათლებო საშუალო სკოლის შესაბამისად. არდადეგები დაემთხვევა საშუალო სკოლის მოსწავლეთა არდადეგებს.

სასწავლებელს აქვს გოგონათა საერთო საცხოვრებელი.

განცხადება საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში მიღების შესახებ იწერება დირექტორის სახელზე.

განცხადებას თან ერთვის:

საბუთი არასრული და სრული საშუალო განათლების შესახებ (დედანი)

სამედიცინო ცნობა (ფორმა №086 უ)

ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ფოტოსურათი 4 ცალი (ზომა 3,4.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექციას.

მისამართი: კოსმონავტების ქ. 65

ტელეფონი 6-31-75
6-79-25

ავტობუსი 1, 5, 11, 19, 28
ტროლეიბუსი №8.

მაკა დავითულიანს
მირიან კოპალიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული და სიხარული არ მოკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

არდევან, გია, ძაძუ, ხულიკო კოპალიანები ოჯახებით.

ნინო გიორგოგიანს
გია გურგუჩიანს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ მტკიცე ქართული ოჯახი. იხარეთ და იბედნიერეთ.

ზურაბ გურგუჩიანი ოჯახით.

ნარგიზა ახვლედიანს
სულიკო ხვადაგიანს

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძის სიმტკიცე, შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ლალი ლევანის ასულ ჩიქოვანს
კარლო ვახტანგის ძე კოპალიანს

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი აწ და მარადის.

ეთერ, ზვიად, ზურიკო, ზაზა კილასონიები.

გელა ოთარის ასულ ჭაბუკიანს
გელა გივის ძე ხაჭაპურიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, შვილმრავალი, ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. გფარავდეთ ღმერთი.

ჭიჭიკო აბაშიძე, გრიგოლ ხმელიძე, რამაზ ახვლედიანი, ილო ბერიძე ოჯახებით.

ნანა აბესალომის ასულ სილაგაძეს
რამაზ ლეონ ძე ქომეთიანს
გელა ოთარის ასულ ჭაბუკიანს
გელა გივის ძე ხაჭაპურიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული, სიხარული, ნუ მოგაკლოთ ღმერთმა.

ზინა, ლავრენტი, ზვიად, ლერი, ელისო სილაგაძეები.

ირმა ამგერკის ასულ ნინუას
მალხაზ (გედიკა) გივის ძე გურჯალიანს

გილოცავთ ყველაზე ლამაზ დღეს, ბედნიერებას. სიკეთე და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახის თანამგზავრი.

დადაში, თალიკო, მამუკა, მალედი, მადონა საღინაძეები.

მერი გალაქტიონის ასულ ასათიანს
ოთარ გესარიონის ძე ჭაბუკიანს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას. გახარებულიყოთ მისი ქართველქალობით, ქალ-ვაჟის სიმრავლით. ასეთივე ბედნიერი ყოფილიყოს სიცოცხლის ბოლომდე.

იური (კუსია) მახარობლიძე ოჯახით.

აზა, მამუკა, ფოთოლა, თამაზ სვანიძეებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი, მრავალ პატარას აეხმიანებინოს თქვენი ბედნიერი ოჯახი.

ნესტორ მუშკუდიანი ოჯახით.

ვენერა, ბორის ჭაბუკიანებს

გილოცავთ გიას ბედნიერებას. შვილმრავალი ყოფილიყოს მათი ოჯახი, სიკეთე და ბედნიერება ნუ მოგკლებოდეთ.

იური, ვაჟა ბენდელიანები ოჯახებით.

დათო ემზარის ძე გურგუჩიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე ერის სასახელო შვილი. გეცხოვროს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში.

ლალი, ლევან საღინაძეები.

მირზა ჟორას ძე კუხალაშვილს

გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო, კეთილი, საქართველოს საამაყო ბიჭი.

სასურსათო კომბინატის შრომითი კოლექტივი.

ციცინო ირემაძეს, დიტო ჩაფრავას

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

ჟანა, მურად ხმელიძეები.

იზა, ირაკლი ჩაკვეტაძეებს
ციცო ჩხეტიანს, მაკა, ზაზა ხეცურიანებს

გილოცავთ ვაჟიშვილის, შვილიშვილის და დისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

კუჭიკო, ლია, ქეთინო, ნატო მახარობლიძეები, თამრიკო, თამაზ ბეჟუაშვილები.

ლელა კაპიტონის ასულ ყურაშვილს
ლევან ალექსანდრეს ძე ჩიქოვანს

გილოცავთ შვილის, ლალის ბედნიერებას. შეექმნათ ფუძეძლიერი, მრავალშვილიანი ოჯახი.

რეზო საღინაძე ოჯახით.

კინო
„პატარა მოწმე"

ახალი ინდური ორსერიიანი ფილმი-სიუჟეტი მძაფრი და დრამატული ხასიათისაა. ქალი და მისი სამი წლის ყრუ-მუნჯი შვილი მკვლელობის მოწმენი გახდნენ, ქალს კლავენ, ბავშვი გადარჩება. ბიჭუნა მოხვდება მადხუსთან, რომელიც კეთილი გულის ქვრივია. მალე მადხუ ხვდება, რომ ბიჭუნას დასდევენ და უნდათ მისი მოკვლა. სიტუაცია დამძიმდება იმით, რომ პოლიცია დამნაშავედ თვლის მადხუს.

„პატარა მოწმე" კომერციული ფილმია, იგი ქალაქის კინოთეატრის ეკრანზე ნაჩვენები იქნება 25 და 26 ივლისს.

ა. ხეცურიანი.

მეუღლე თამარი, შვილები დოდო, ეთერი, ია, ციალა, ნუნუ, და თინა, სიძეები გივი მუშკუდიანი, ვაჟა ნიკურაძე, მურმან გულბანი, შვილიშვილები ნინო, ელისო, მირიანი, ლეილა, მადონა, მანანა, აპოლონი, კახა, თინათინი, თეიმურაზი, ცოლისძმები რაჟდენი, ჟორა, რეზო, ცოლისდა ნაზი, ქვისლი ვიტალი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აპოლონ არჩილის ძე ახვლედიანი.

დაკრძალვა 21 ივლისს, კვირას, სოფ. აღვში.

ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რამაზ ცხვედიანს ბიძის

გიორგი სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სოსო სვანიძეს ბიძის

ბესარიონ სვანიძის

გარდაცვალების გამო.

ლემინო, გურამ, სოსო, ავთანდილ სვანიძეები, ნიკო ომანაძე, მალხაზ ბენიძე ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ბესარიონ (ბესო) გიორგის ძე სვანიძე

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა 23 ივლისს, სამშაბათს.

„ლეჩხუმი" გამოდის
• სამშაბათს
• ხუთშაბათს
• შაბათს

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების —22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-23

შეკვეთა № 80 ტირაჟი—4546

რედაქტორი
ნ. ნიმსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.